რწმუნებულება

ორი ათას ცამეტი წლის ოცდაორ მარტს, **შპს "ჯიბი ინვესთმენთს"-ის** (რეგისტრაციის თარიღი: 27.12.2012წ.; ს.ნ. 404971152, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქუჩა №19, ოფისი №43) **დირექტორი** (27/12/2012წ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) **თენგიზ წულაია** (დაბადების თარიღი: 04.01.1987წ.; გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, შარტავას ქ. № 59; პირადი №37001018394), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც *"მარწმუნებელი"*, **თემურ კვირცხალიას** (დაბადების თარიღი: 14.12.1978წ.; გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, მამკოდის ქ. №9. პირადი №01001009860), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც *"რწმუნებული"*, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს მარწმუნებელი თბილისის მერიაში და მის საქალაქო სამსახურებში, მათ შორის თბილისის არქიტექტურაში, რათა განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან ან/და მშენებლობის ნებართვის აღებასთან, კორექტირებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან/და დემონტაჟთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად, განახორციელოს პროექტის კორექტირება / შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროექტში, აგრეთვე შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი მარწმუნებლის სახელით; მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს მარწმუნებლის სახელით და განახორციელოს ყველა მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არაა გათვალისწინებული ამ რწმუნებულებით, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულება გაცემულია ერთი წლის ვადით.

შპს „ჯიბი ინვესთმენთს"-ის დირექტორი

თენგიზ წულაია